ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №938571

ნომერი: AR1160460

თარიღი : 09.09.2013

გაცემის თარიღი : 11.10.2013

გაცნობის თარიღი : 12.10.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მტკვრის მარცხენა სანაპირო , ქსნის ქუჩისკენ მიმავალ გზასა და რკინიგზას შორის (ნაკვეთი 39/061);

დამკვეთი-განმცხადებელი

- რუბენ ცეცხლაძე პ/ნ 61003000698
- ბათუმი თ.სახოკიას ქ. N 39

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით სამხარაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში კიდევ ერთხელ განხილულიქნა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ქსნის ქუჩისაკენ მიმავალ გზასა და რკინიგზას შორის, შ.პ.ს "პრიმა სერვისი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობას. პასუხად გაცნობებთ:

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მერიის სსიპ–ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 07 ოქტომბერს გაცემული იქნა #970 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობისთვის, რითაც ფაქტიურად განისაზღვრა ამ მიწის ნაკვეთის შემდგომი განვითარების მიზნობრივი დანიშნულება და ზემოაღნიშნული პირობები, რამაც უნდა უზრუნველყოს ისეთი მოცულობით–სივრცითი მასშტაბის არქიტექტურული ობიექტის ჩამოყალიბება, რომელიც მისაღები იქნება ქალაქის ისეთი მნიშვნელოვანი და ცენტრალური სატრანსპორტო მაგისტრალის განაშენიანებისათვის, როგორსაც წარმოადგენს მტკვრის მარცხენა სანაპირო და რომელიც ამავდროულად წარმოადგენს მშენებლობის განსაკუთრებული რეგულირების ზონას, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა ცალკეული ობიექტის მშენებლობას და მის არქიტექტურულ იერსახეს. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან და იმის გამო, რომ თქვენ მიერ ატვირთული პროექტი როგორც ფუნქციური, ისე არქიტექტურულ–კომპოზიციური და მხატვრული გადაწყვეტის თვალსაზრისით ვერ უზრუნველყოფს ისეთი ობიექტის ჩამოყალიბებას, რომელიც დააკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, საჭიროა იხელმძღვანეოთ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებით #970 და აირჩიოთ ზონის შესაბამისი ფუნქციური დანიშნულების შენობა და შეათანხმოთ არქიტექტურული პროექტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა. იერსახის დახვეწილი და გადამუშავებული სახით და წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური განმეორებით განიხილავს საკითხს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.